

GeoSTM

საქართველოს სტანდარტები  
და მეტროლოგია

# საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

2015 წლის ანგარიში



## შინაარსი

1. პროექტები.....	2
2. სტანდარტიზაცია .....	3
3. მეტროლოგია .....	6
4. საერთაშორისო აღიარება მეტროლოგიაში .....	9
5. საერთაშორისო აქტივობები .....	9
6. ღონისძიებები .....	12





## 1. პროექტები

სააგენტოში დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB comprehensive Institutional Building): პირველი ეტაპის საგრანტო კონტრაქტით გათვალისწინებული ღონისძიებები:

- სააგენტოს ინფრასტრუქტურის რენოვაციის სამუშაოები;
- დამხმარე ინფრასტრუქტურის სრული განახლება;

სააგენტოში დაიწყო CIB პროგრამის II ეტაპი, რომლის ფარგლებში ხორციელდება 2 პროექტი:

- ტექნიკური დახმარების პროექტი;
- შესყიდვის პროექტი - სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ბაზის განახლებისთვის (განახლდება შემდეგი ლაბორატორიების ეტალონური ბაზა: გეომეტრიული გაზომვები; წნევა და ძალა; ტემპერატურა და ტენიანობის გაზომვები; დიდი მასები და მცირე მოცულობები; რადიოფიზიკა, დრო და სიხშირე, ოპტიკა და აკუსტიკა; ფიზიკო-ქიმიური გაზომვები; ვიბრაცია, ნივთიერებათა ხარჯი, რადიაციული გაზომვები);





## 2. სტანდარტიზაცია

2015 წლის განმავლობაში სტანდარტების ტექნიკურმა კომიტეტებმა მიიღეს შემდეგი სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები:

- **ტკ 1 ელექტროტექნიკური კომიტეტი** - სსტ იეკ გამოცემა 50 : 1985 „საერთაშორისო ელექტროტექნიკური ლექსიკონი თავი 601: ელექტროენერჯის წარმოება, გადაცემა და განაწილება – ზოგადი“; ენ 12186:2014 „გაზის ინფრასტრუქტურა - გაზის გადამცემი და გამანაწილებელი საკომპრესორო სადგურები-ფუნქციური მოთხოვნები“.
- **ტკ 4 ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები** - ისო/ტრ 21102 „სათავგადასავლო ტურიზმი - ლიდერები - პერსონალის კომპეტენცია“.
- **ტკ 2 მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება** - ისო 14000 სერიის „გარემოს დაცვის მენეჯმენტის“ 8 სტანდარტი; ისო/იეკ სახელმძღვანელო 21-1; 21-2; ისო 15189 „სამედიცინო ლაბორატორიები-მოთხოვნები ხარისხისა და კომპეტენციის“; ისო 9001:2015 „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები“.
- **ტკ 3 სასურსათო პროდუქცია** - მიკრობიოლოგიური გამოცდის მეთოდები 7 სტანდარტი და სსტ 80 : 2015 „წყალი ნატურალური მინერალური „ლიკანი“. ტექნიკური პირობები“ ;
- **ტკ 5 მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები** - EN 14994:2007 „დამცავი ვენტილაციის სისტემა აირის აფეთქების დროს“; EN 15089:2009 „აფეთქების იზოლაციის სისტემა“; EN 1127-1:2011 „ფეთქებადსაშიში გარემო - ფეთქებადობის პრევენცია და დაცვა - ნაწილი 1: ძირითადი კონცეფცია და მეთოდოლოგია“; EN 50495:2010 „უსაფრთხოების ხელსაწყოები უსაფრთხოდ ფუნქციონირებადი აღჭურვილობისათვის, რომელიც ითვალისწინებს აფეთქების რისკს“.

2015 წლის 12 თვის განმავლობაში საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ **400 ნოტიფიკაცია**;

2015 წლის 12 თვის განმავლობაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა **4 ნოტიფიკაცია**, საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მიეწოდათ საქართველოს მიერ ნოტიფიცირებული ტექნიკური რეგლამენტის, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების **5 სრული ტექსტი**;






2015 წლის 12 თვის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 1737 სტანდარტი:

- სსტ ისო(საერთაშორისო სტანდარტი) -628,
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) –811,
- სსტ იეკ (ელექტრო ტექნიკური კომიტეტის სტანდარტი)-254;
- სსტ (საქართველოს სტანდარტი)-26;
- სსტ უპუ (უნივერსალური საფოსტო კავშირი) – 12;
- სსტ სენ ტს (ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ტექნიკური სპეციფიკაცია) – 3

დიაგრამა 1.



სულ : 1737 სტანდარტი







• 2015 წლის 12 თვის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 308 სტანდარტი (იხ. დიაგრამა 2):

- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 220,
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი)- 43,
- გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) –15;
- რსტ (რესპუბლიკური სტანდარტი) -14 ;
- მი (მეთოდური ინსტრუქცია ) -7;
- სსტ სენ ტს (ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ტექნიკური სპეციფიკაცია) – 2
- სსტ სენ/ტრ ( ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის ტექნიკური ანგარიში) -1,
- სსტ (საქართველოს სტანდარტი)-6.

დიაგრამა 2.



### 3. მეტროლოგია

- სააგენტოში პერმანენტულად ხორციელდება ეტალონური ბაზის შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები, რაც გულისხმობს სისტემატიურ ყოველდღიურ გაზომვებს ეტალონების მეტროლოგიური მახასიათებლების მდგრადობის უზრუნველსაყოფად;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესაბამისად, ჩატარდა ყოველწლიური ანალიზი მენეჯმენტის მხრიდან; ასევე სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად შიდა აუდიტი დაგეგმილი პროგრამის შესაბამისად;
- სააგენტოს მასის ეტალონური განყოფილება მომახურებას გაუწევს „საქართველოს რკინიგზას“, დამოწმდა სს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი 150 ტონიანი სავაგონო სასწორი. განყოფილებაში სწავლება გაიარა 4 სტაჟორმა.
- მასის ეტალონური განყოფილებაში ევროპული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში 30.11.2015 04.12.2015 ევროპელი ექსპერტის მიერ ჩატარდა ტრენინგის პირველი ეტაპი „არა-ავტომატური სასწორების დაკალიბრება“, „ეტალონების შუალედური შემოწმება“, დაკალიბრება ე.წ. sub-division მეთოდით.
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის, მექანიკური გაზომვების და ფიზიკური გაზომვების ეტალონურმა განყოფილებებმა მოამზადეს წინადადებები და შენიშვნები ტექნიკური რეგლამენტების პროექტებთან დაკავშირებით:
  - „ხმაურის მიერ შექმნილი რისკებისაგან (მოთხოვნები შრომის უსაფრთხოების წესების დაცვისადმი) დასაქმებულთა დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
  - „ვიბრაციის მიერ წარმოქმნილი რისკებისაგან დასაქმებულთა დაცვის ტექნიკური რეგლამენტის (მოთხოვნები შრომის უსაფრთხოების წესების დაცვისადმი) დამტკიცების შესახებ“;
  - „საბანაო წყლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
  - „მიწისქვეშა წყლების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის, ეტალონურმა განყოფილებამ მოამზადა წინადადებები ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #994 ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით.
- რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილების ლაბორატორიები განთავსდა განახლებულ სათავსში, 2016 წელს დაგეგმილია ლაბორატორიის ეტალონური ბაზის განახლება CIB პროგრამის შესყიდვის პროექტის ფარგლებში.
- სააგენტოს რადიაციული გაზომვების ეტალონურმა განყოფილებამ მოამზადა წინადადებები საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე „ტექნიკური რეგლამენტის - „მაიონბელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ.






- ელექტროგაზომვების განყოფილებაში COOMET-ის პროექტის #624/GE/13 „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებების“ ფარგლებში გრძელდება გაზომვითი სამუშაოები. მონაწილეობს 10 ქვეყნის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტი. აღნიშნულ შედარებებში სააგენტოს ელექტროგაზომვების ეტალონურ განყოფილება ასრულებს წამყვანი (პილოტი) ლაბორატორიის როლს; BIPM-ის საერთაშორისო შედარებების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულია COOMET.EM-S18.
- დამთავრდა COOMET შედარების #604/RU/13 „სამრეწველო სიხშირის ცვლადი ძაბვის (1...150) კვ ელექტრული ტევადობის და დიელექტრიკული დანაკარგების კუთხის გაზომვის ეტალონური სისტემების დამატებითი შედარებები“ გაზომვითი სამუშაოები. შედარებებში მონაწილეობდნენ - VNIIMS (რუსეთი), პილოტი ლაბორატორია; GEOSTM (საქართველო); CMI (ჩეხეთი); პილოტი ლაბორატორიის მიერ მომზადდა შესაბამისი პუბლიკაცია შედარების შედეგების მეტროლოგიის საერთაშორისო ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.
- ელექტროგაზომვების განყოფილებაში ევროპული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში 30.11.2015 04.12.2015 ევროპელი ექსპერტის მიერ ჩატარდა ტრენინგის პირველი ეტაპი: ელექტრული სიდიდეების გაზომვები და საერთაშორისო შედარებების ანგარიშების მომზადება.
- გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ ლაბორატორიაში 2015 წელს გაგრძელდა სხვადასხვა გაზომვის საშუალებების დაკალიბრების პროცედურების შემუშავების პროცესი; შემუშავებული და მიღებული იქნა შემდეგ პროცედურები:
  - GE/MI/01LP-5.4-18 „სიგრძის საზომი რულეტები. დაკალიბრების პროცედურა“;
  - GE/MI/01LP-5.4-19 „მეტროლოგები ნავთობპროდუქტების დონის გაზომვებისათვის საცავებში. დაკალიბრების პროცედურა“.
- COOMET-ის ტექნიკური კომიტეტიდან 1.8 „ფიზ-ქიმია“ მიღებულია საკვანძო შედარებების COOMET.QM-K36 „0,5 სიმ/მ ელექტროლიტური გამტარებლობა“ დასკვნითი ანგარიში, რომელშიც სააგენტოს ფიზ-ქიმიურ ეტალონურ განყოფილებას წარმატებული შედეგი აქვს;
- დასრულდა ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონური განყოფილების ლაბორატორიების განთავსება განახლებულ სათავსოში, 2016 წელს დაგეგმილია ლაბორატორიის ეტალონური ბაზის განახლება CIB პროგრამის შესყიდვის პროექტის ფარგლებში.
- სააგენტოს ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონურ ლაბორატორიაში ევროპული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში 30.11.2015 04.12.2015 ევროპელი ექსპერტის მიერ ჩატარდა ტრენინგის პირველი ეტაპი.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მექანიკის ეტალონურ განყოფილებაში ჩატარდა სამრეწველო მრიცხველების დასაკალიბრებელი სტენდის მოდერნიზაციის სამუშაოები. განყოფილებაში მოხდა შემდეგი ლაბორატორიული პროცედურების გადამუშავება:
  - ბუნებრივი აირის სამრეწველო მრიცხველების დაკალიბრების პროცედურა;





- საყოფაცხოვრებო მრიცხველების დასამოწმებელი სტენდის დაკალიბრების პროცედურა.
- სააგენტოს მაიონიზებელი მეტროლოგიის განყოფილების მიერ 2015 წლის 9 თვის განმავლობაში გაწეულ იქნა შემდეგი მომსახურება. დაკალიბრება - 36 ხელსაწყო; წარმოდგენილი ნიმუშის რადიაციული კვლევა - 48 ერთეული;
- სააგენტოს რადიაციული მეტროლოგიის ეტალონურმა განყოფილებამ ა.წ. 19-20 მარტს წარმატებით გაიარა გეგმიური შემოწმება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილების მიერ ჩატარდა საკონტროლო სალარო აპარატის გამოცდა, გაცემულ იქნა გამოცდის ოქმი და დასკვნა.
- ტიპის რეესტრი (ექსპერტიზა, აღიარება, რეგისტრაცია): 2015 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ რეგისტრირებულია დაკანონებული გაზომვის საშუალების 26 ტიპი;
- 2015 წლის 9 თვის მდგომარეობით განხორციელდა 188913 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება, მათ შორის (იხ. დიაგრამა 3):
  - ელექტრომრიცხველები - 3157 ცალი;
  - გაზის მრიცხველები - 144391 ცალი;
  - წყლის მრიცხველები - 41365 ცალი;

დიაგრამა 3.



სულ: 188913 ერთეული



#### 4. საერთაშორისო აღიარება მეტროლოგიაში

- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის დაკალიბრების და გაზომვის შესაძლებლობები (CMC) ელექტრობის დარჩენილი 12 ჩანაწერი გამოქვეყნდა ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზაში, რაც ნიშნავს აღნიშნულ სფეროებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ გაცემული დაკალიბრების და გაზომვების სერტიფიკატების საერთაშორისო აღიარებას; სულ 2015 წ. 12 თვის მდგომარეობით საქართველოს გააჩნია 30 CMC ჩანაწერი ტემპერატურული გაზომვების, ელექტრობისა და მასის სფეროში.
- ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მიერ სააგენტოს მიეცა უფლება CMC (გაზომვისა და დაკალიბრების შესაძლებლობები) მონაცემებით დაფარულ სფეროებში - ელექტრობა, მასა და ტემპერატურული გაზომვები - გაცემულ დაკალიბრებისა და გაზომვის სერტიფიკატებზე დატანილი იქნეს ურთიერთაღიარების შეთანხმების (CIPM MRA) ლოგო;
- სააგენტომ აღიარებულ სფეროებში უკვე გაუწია მომსახურება სომხეთის აკრედიტებულ კერძო საგამოცდო ლაბორატორიას, რომელმაც სააგენტოს მომართა საწონებისა და თერმომეტრების დაკალიბრების და აღიარებული დაკალიბრების სერტიფიკატების მიღების მიზნით.

#### 5. საერთაშორისო აქტივობები

- სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა ტაჯიკეთში, ქ. ხუჯანდში 2015 წლის 26-28 მაისს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გაიართა გაზომვისა და დაკალიბრების სერტიფიკატების ურთიერთაღიარების საერთაშორისო შეთანხმების CIPM MRA 15 წლისადმი მიძღვნილი სემინარი.
- სააგენტოს წარმომადგენლებმა 2015 წლის 3-5 ივნისს მონაწილეობა მიიღეს, ლატვიის რესპუბლიკაში, ქ. რიგაში გამართულ სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN) 43-ე, ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CENELEC) 55-ე გენერალურ ასაბლეაში და ასევე, ევროპის სტანდარტიზაციის მე-4 სამიტში.



ღონისძიების მთავარ თემას წარმოადგენდა ევროპაში სამშენებლო სტანდარტების გაუმჯობესება და მათი დანერგვა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარებისათვის. ღონისძიების ფარგლებში, სტანდარტიზაციის სფეროში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და პოლონეთის სტანდარტიზაციის კომიტეტს შორის. მემორანდუმის მიზანია თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და პოლონეთის სტანდარტიზაციის კომიტეტს შორის და ასევე, გამოცდილების გაზიარება.

- 16-18 სექტემბერს, კორეის რესპუბლიკაში, ქ. სეულში გაიმართა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) 38-ე გენერალური ასამბლეა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს წარმომადგენლებმა. ასამბლეის მთავარი თემა იყო ISO-ს სტრატეგიის „ISO 2016 – 2020“ განხილვა წევრის ქვეყნების დელეგაციების მიერ. ასამბლეის ფარგლებში ISO-ს ტექნიკური მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილება იქნა მიღებული ISO-ს პილოტური პროექტის „ახალი უფლება“ 4 წლით გაგრძელების შესახებ, რომლის მონაწილე არის საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სააგენტო სრული წევრის სტატუსით მონაწილეობს ISO-ს ოთხ ტექნიკურ კომიტეტში.
- 2015 წლის 12-16 ოქტომბერს ქ.მინსკში გაიმართა საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC-ის) 79-ე გენერალური შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სააგენტოს წარმომადგენლები, შეხვედრაზე სხვადასხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა ახალი კონცეფცია „smart city“ და მასთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავების აუცილებლობა. შეხვედრის მიმდინარეობის დროს სამუშაო ჯგუფების მიერ განხილულ იქნა პოტენციურად გასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას სტანდარტიზაციის შესახებ.
- COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის „ხარისხის ფორუმის“ ეგიდით ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგების გავლისა და შეფასებებში „Peer Assessment“ მონაწილეობის შედეგად, 2015 წ. 29 აპრილს COOMET-ის ხარისხის ფორუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი (მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი) გახდა COOMET-ის აუდიტორი. გაცემულ იქნა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც საშუალებას იძლევა COOMET-ის წევრი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების გარე შეფასება ე.წ. „Peer Assessment“ ჩაატაროს საქართველოს წარმომადგენელმა.
- სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ა.წ. 17-18 ივნისს უკრაინაში, ქ. კიევი, მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET ეგიდით გამართულ ახალგაზრდა მეტროლოგების მე-6 საერთაშორისო კონკურსში. საქართველოს წარმომადგენელმა გაიმარჯვა ნომინაციაში საუკეთესო ინგლისურენოვანი ანგარიში და მიიღო დიპლომი „საუკეთესო ანგარიში ინგლისურ ენაზე“.



- 2015 წლის 26-28 აგვისტოს ყაზახეთში მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ეგიდით ჩატარდა ყაზახეთის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტის შემოწმება თანასწორ ექსპერტთა მიერ. აღნიშნულ შემოწმებაში ერთ-ერთი აუდიტორი იყო საქართველოს წარმომადგენელი (COOMET-ის აუდიტორი საქართველოდან - სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი).
- სააგენტოს მასის ეტალონური განყოფილების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის „მასა და მასთან დაკავშირებული სიდიდეები“ შეხვედრასა და სემინარში „სასწორების დაკალიბრება და/ან დამოწმება“, რომელიც გაიმართა 4-6 აგვისტოს ყირგიზეთში, ქ. ბიშკეკი. აღნიშნული ტექნიკური კომიტეტის ფარგლებში ჩატარდება ორი ახალი შედარება (670/GE-15 და 671/GE-15). სააგენტოს მასის ეტალონური ლაბორატორია ორივე შედარებაში შეასრულებს პილოტი ლაბორატორიის ფუნქციას.
- სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილების ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის ტკ 1.5 „სიგრძე და კუთხე“ სხდომაში, რომელიც გაიმართა ქ. სტამბულში, თურქეთი 30.09-01.10. შეხვედრაზე განხილულ იქნა აღნიშნული კომიტეტის ფარგლებში დაგეგმილ შედარებებში საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობა. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან 2016 წელს დაგეგმილია გეომეტრიული გაზომვების ლაბორატორიის ეტალონური ბაზის განახლება, რაც შესაძლებლობას მისცემს ლაბორატორიას მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო და რეგიონალურ შედარებებში.
- სააგენტოს მაიონიზებული მეტროლოგიის განყოფილების სპეციალისტმა 2015 წ. 6-7 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის ტკ 1.9 „მაინიზებული გამოსხივება“ სხდომაში, რომელიც გაიმართა ქ. ბაქოში, აზერბაიჯანი. სხდომაზე განხილულ იქნა კომიტეტის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი შედარებების, რომელშიც საქართველო გეგმავს მონაწილეობის მიღებას.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტრობის ეტალონური განყოფილების სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის, ტ.კ. 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“ სხდომაში, რომელიც გაიმართა 26-29 ოქტომბერს 2015 ქ. მოსკოვში (რუსეთი). სხდომაზე განხილული იყო მიმდინარე და დაგეგმილი საერთაშორისო/რეგიონალური შედარებების მიმდინარეობა, რომელშიც მონაწილეობს სააგენტო და ასევე ასრულებს პილოტი ლაბორატორიის ფუნქციას. შეხვედრაზე გადაწყდა ტ.კ. 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“ მომდევნო სხდომის ჩატარება საქართველოში. COOMET-ის ფარგლებში განყოფილება მონაწილეობს 2 მიმდინარე საერთაშორისო შედარებაში და მიიღებს მონაწილეობას 2 დაგეგმილ შედარებაში.



## 6. ღონისძიებები

- 2015 წლის 12 თებერვალს თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო დაჯილდოვდა 2014 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის;
- საქართველოს მთავრობის ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის განხორციელების 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლის 24 მარტს სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს სტუდენტებთან, რომლის თემა იყო საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA), ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, კერძოდ მეტოლოგიისა და სტანდარტიზაციის მნიშვნელობა, ასევე ამ სფეროებში ევროინტეგრაციის კუთხით დაგეგმილი რეფორმები.
- ასევე პროექტის „ერთად შევვებოთ ევროპას“ ფარგლებში საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის და სტანდარტების დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს DCFTA, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა, მეტოლოგიისა და სტანდარტიზაციის საკითხებზე გამართულ შეხვედრებში, რომლებიც გაიმართა საქართველოს რეგიონებში: ქ. ქუთაისი 14.05.2015; ქ. თელავი 10.06.2015; ქ. მარნეული 16.11.2015. აღნიშნულ შეხვედრებს ესწრებოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები, სახელმწიფო უწყებები, ბიზნესის, ლაბორატორიების არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.
- რთველის პროცესის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობისათვის სააგენტოს თელავის რეგიონალური მომსახურების ცენტრის მიერ მოხდა ყურძნის მიმღებ საწარმოებში საავტომობილო სასწორების დამოწმება/დაკალიბრება.
- 2015 წ. 6-8 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა მეტროლოგიის ეროვნული უწყებების ევრო-აზიური თანამშრომლობის (COOMET) ტექნიკური კომიტეტის ტკ 4 „ინფორმაცია და სწავლება“ სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს COOMET-ის წევრი 10 ქვეყნის წარმომადგენლებმა.
- საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკის ერთობლივი სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობოთშორისი კომისიის მეორე სხდომის ფარგლებში, 2015 წლის 8 დეკემბერს გაფორმდა ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავებას საქართველოს სტანდარტებისა და ლატვიის ეროვნული სტანდარტიზაციის უწყებებს შორის, ასევე გამოცდილებისა და განხორციელებული მიღწევების გაზიარებას.







**GeoSTM**

საქართველოს სტანდარტები  
და მეტროლოგია



ჩარგლის ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



[geostm@geostm.ge](mailto:geostm@geostm.ge)

[www.geostm.gov.ge](http://www.geostm.gov.ge)